ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 31 იანვრის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №3

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

31 იანვარი 2019 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

დავით კიკნაძე -განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

ვარლამ ჭიპაშვილი- „ საფინანსო-საბიუჯეტო“ კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზ ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხა კომისიის თავმჯდომარე,

პაატა გოგოლაძე ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე,

თორნიკე ავალიშვილი - ფრაქცია „ძალა ერთობაშია “ თავმჯდომარე,

ინგა მაღრაძე - ფრაქცია „ თვითმმართველობა ხალხისათვის“ თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეების“ თავმჯდომარე,

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქეთევან ზუმბაძე - ფრაქცია „ძალა ერთობაშია “ თავმჯდომარის მოადგილე

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლი:

ნანა კიკნაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

კახაბერ გოლუბიანი -მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

ჯაბა ბერაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატი:

ლენა კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის იურისტი

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში უფროსი სპეციალისტი

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის" ჟურნალისტი,

მაია შათირიშვილი -მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და ბიუროს სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. იმერეთის რეგიონში დანიშნულების მართვის ორგანიზაციის (DMO) „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაციის" დაფუძნებაში მონაწილეობის მისაღებად და გაწევრიანების თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

2. .არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ეთერ კიკნაძის სახელობის „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის სოფელ სარგვეშის საჯარო სკოლის (ს/კ - 36.07.32.013) პირველ სართულზე მდებარე 63.84კვმ. ფართის „მზაობის ჯგუფის" ფუნქციონირებისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით 3 წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №5 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ"ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - **იმერეთის რეგიონში დანიშნულების მართვის ორგანიზაციის (DMO) „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაციის" დაფუძნებაში მონაწილეობის მისაღებად და გაწევრიანების თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

აზრი გამოთქვეს:

ი. მაღრაძემ - აღნიშნა, რომ მიესალმება ერთობლივი ორგანიზაციის დაფუძნების საკითხს. თუმცა გულდასაწყვეტია, რომ უბისის ტაძარი არ არის ჩასმული საექსკურსიო მარშრუტში, ელემენტარული კომუნიკაცია ტურიზმის დეპარტამენტთან მნიშვნელოვანია .

კ. გოლუბიანმა განმარტა, რომ უბისის ნახვა თვითონ ტურისტს არ აინტერესებს.

მ. ბარბაქაძემ აღნიშნა, რომ თვითონ პროტოკოლით უნდა ჩაისვას მარშრუტში, მაგრამ მერიამ უბისის მიმდებარე ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის სამუშაოები, რომ დასრულებული იყო და ობიექტი ჩაბარებული 4 თვე არ იცოდა.

მ. ფხალაძემ დასვა შეკითხვა მუნიციპალიტეტში ა.ა.ი.პ - ში ამ კუთხით დასაქმებული თანამშრომლები რჩებიან თუ თავისუფლდებიან.

კ. გოლუბიანმა უპასუხა, როდესაც ა.ა.ი.პ.დაიწყებს მუშაობას შემდეგ შევხედავთ რა იქნება, წინასწარ ვერაფერს გეტყვით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2019 წლის 4 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხის შეტანილი იქნეს 2019 წლის 4 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში.

2. დაევალოს საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას და განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიას სხდომაზე განიხილონ აღნიშნული საკითხი და წარმოადგინონ დასკვნა.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯაბა ბერაძის ინფორმაცია საკითხზე -.**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ეთერ კიკნაძის სახელობის „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის სოფელ სარგვეშის საჯარო სკოლის (ს/კ - 36.07.32.013) პირველ სართულზე მდებარე 63.84კვმ. ფართის „მზაობის ჯგუფის“ ფუნქციონირებისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით 3 წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

აზრი გამოთქვეს:

დ. კიკნაძემ დასვა შეკითხვა ეს ახალი ფართია თუ ძველი

ჯ. ბერაძემ უპასუხა ეს არის ის ფართი, სადაც განთავსებულია ბაღი.

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ ძალიან კარგია, უფრო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რა უნდა იყოს მივესალმები და მხარს ვუჭერ მაგრამ მინდა დავსვა შეკითხვა იქნებ დიდვაკის მზაობის ჯგუფისათვის მოვაწესრიგოთ წყლის სისტემა.

მ. ბარბაქაძემ აღნიშნა, რომ ძალიან კარგი პროექტია, მაგრამ აქ საუბარია იმაზე, რომ მერიის ეკონომიკის სამსახურმა საკითხი 4 თვის დაგვიანებით შემოიტანა საკრებულოზე განსახილველად და ამით დაარღვიეთ კანონი.

რ. გიორგაძემ დასვა შეკითხვა რა დოკუმენტაციით იყო შეშვებული ბაღი ამ ორგანიზაციაში,

ჯ. ბერაძემ უპასუხა, რომ მერიას გადმოეცა ქონება მა მერმა შეუშვა ახლა ვითხოვთ თანხმობას, რომ საკრებულომ გასცეს თანხმობა, რადგან ეს ბართი გადავცეთ ბაღების გაერთიანებას, იქნებ მითხრათ სად დავარღვიეთ კანონი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2019 წლის 4 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხის შეტანილი იქნეს 2019 წლის 4 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში.

2. დაევალოს საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიას და ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას სხდომაზე განიხილონ აღნიშნული საკითხი და წარმოადგინონ დასკვნა.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნანა კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე - .**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №5 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ''**ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

მ. ბარბაქაძემ, რომელმაც შშმ პირთა პროგრამის დაფინანსებასთან დაკავშირებით დასვა შეკითხვა თუ არსებობს ბენეფიციართა სია.

ნ.კიკნაძემ უპასუხა, რომ სამწუხაროდ სოც.სააგენტო ამ მონაცემს არ იძლევა, ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს წარმოსადგენ დოკუმენტაციაში შშმ პირის დამადასტურებელი დოკუმენტის მოთხოვნა იმ განმცხადებლის მიმართ ვინც მსგავსი სტატუსით მოითხოვს დახმარებას

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2019 წლის 4 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხის შეტანილი იქნეს 2019 წლის 4 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში.

2. დაევალოს საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის კომისიას სხდომაზე განიხილოს აღნიშნული საკითხი და წარმოადგინოს დასკვნა.
ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.დამტკიცდეს საკრებულოს 2019 წლის 04 თებერვლის სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 თებერვლის

სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2018 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შეფასების შესახებ

მომხს: ზურაბ იჩქიტიძე

2. იმერეთის რეგიონში დანიშნულების მართვის ორგანიზაციის (DMO) „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაციის“ დაფუძნებაში მონაწილეობის მისაღებად და გაწევრიანების თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. .არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ეთერ კიკნაძის სახელობის „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის სოფელ სარგვეშის საჯარო სკოლის (ს/კ - 36.07.32.013) პირველ სართულზე მდებარე 63.84კვმ. ფართის „მზაობის ჯგუფის“ ფუნქციონირებისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით 3 წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №5 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ''ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

სხვადასხვა:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ცენტრის დირექტორის შმაგი ხიჯაკაძის ინფორმაცია გავრცელებული ვირუსული ინფექციების შესახებ.

ბ) ფრაქციების „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარის თორნიკე ავალიშვილისა და „თვითმმართველობა ხალხისათვის“ თავმჯდომარის ინგა მაღრაძის განცხადების განხილვის შესახებ

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე